

შრომითი კმაყოფილებისა და ემოციური ინტელექტის ურთიერთკავშირი

სოფიკო გოჩიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო გოჩიაშვილი

20 ივნისი 2019 წელი

აბსტრაქტი

კვლევა მიზანად ისახავს, დადგინდეს, არის თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი შრომით კმაყოფილებასა და ემოციურ ინტელექტს შორის დასაქმებულ ადამიანებში. გარდა ამისა, იკვლიოს ემოციური ინტელექტის კომპონენტებიდან, კონკრეტულად რომელ მათგანთან ფიქსირდება დადებითი კორელაცია შრომით კმაყოფილებასთან მიმართებით. ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულია მინესოტას შრომითი კმაყოფილების და გენოსის ემოციური ინტელექტის კითხვარი, რომელიც ზომავს როგორც მთლიან ემოციურ ინტელექტს, ისე მის შემადგენელ შვიდ კომპონენტს. კვლევაში მონაწილეობდა სხვადასხვა ტიპის, კერძო ორგანიზაციაში დასაქმებული 49 ინდივიდი. კვლევის შედეგებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია დაფიქსირდა შრომით კმაყოფილებასა და ემოციური ინტელექტის სამ ქვე კომპონენტს შორის: ემოციების გამოხატვა, საკუთარი ემოციების მართვა და სხვა ადამიანთა ემოციების მართვა.

საძიებო სიტყვები: შრომითი კმაყოფილება, ემოციური ინტელექტი, თანამშრომელი, ემოციების გამოხატვა, ემოციების მართვა.

Abstract

Aim of the research is to measure correlation between Job Satisfaction and Emotional Intelligence in employees. Besides that, it is supposed to check correlation between Job Satisfaction and seven subscales of Emotional Intelligence. In order to explore correlation between the two main variable, was used Minnesota Job Satisfaction Questionnaire and Genos Emotional Intelligence questionnaire, which measures total Emotional Intelligence as well as, seven subscales of Emotional Intelligence. Participants of the research were 49 employed respondents from several type of private job sector. Under research results, there is significant correlation between Job Satisfaction and three following subscales of Emotional Intelligence: Emotional Expression, Emotional Self-Management and Emotional Management of Others.

Key words: job satisfaction, emotional intelligence, employee, emotional expression, emotional management.